გაზეთი „ალიონი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, თბილისში, დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩაზე ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებსა და მთელ საქართველოს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრები დაიწყო

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობასთან კონსულტაციები გასულ პარასკევს პირველად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებში: ნარუჯასა და ლაითურში გაიმართა. სოფლის პროგრამით 2019 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 537 000 ლარი გამოეყო, რომელსაც მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტით 100%-იანი თანადაფინანსებით უერთდება. თანხა დასახლებებს რეგისტ-რირებული ამომრჩევლების რაოდენობის მიხედვით განესაზღვრა. წელს დაბა ნარუჯას (2 297 ამომრჩეველი) 10 000 ლარი გამოეყო, რომელსაც მუნიციპალიტეტი 10 000 ლარს უმატებს. ჯამში 20 000 ლარის ფარგლებში ადგილობრივებმა დაბაში განსახორციელებელი პროექტი შეარჩიეს. შეხვედრას სულ 200 ადგილობრივი დესწრო. გამოიკვეთა 3 ძირითადი პრიორიტეტი: სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, სველი წერტილების მოწესრიგება და გზების რეაბილიტაცია. აქედან ხმათა უმრავლესობით სოფლის ცენტრში სკვერის კეთილმოწყობა და ცენტრალურ სტადიონზე არსებული შენობის

რეაბილიტაცია შეირჩა.

მოსახლეობასთან კონსულტაცია გურიის გუბერნატორის მოადგილემ **ქეთევან მოისწრაფეშვილმა,** ოზურგეთის მერის მოადგილემ **ოსიკო თოთიბაძემ,** მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის უფროსმა **გიორგი ინწკირველმა** და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა - **თემურ გიორგაძემ** დაბის მაჟორიტარ დეპუტატთან და ნარუჯაში მერის წარმომადგენელთან ერთად გამართეს.

შემდეგი შეხვედრა დაბა ლაითურში გაიმართა.

გამოყოფილი 20 000 ლარის ფარგლებში დაბა ლაითურის მაცხოვრებლებმა პრიორიტეტად სოფლის ცენტრში ამბულატორიის მოწყობა, შიდა გზების მოწესრიგება და სარიტუალო დარბაზის შენობის რეაბილიტაცია დასახელეს.

როგორც მერის მოადგილემ **ოსიკო თოთიბაძემ** განმარტა, პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს და მუნიციპალიტეტი მათ საჭიროებებსა და ინტერესებს მაქსიმალურად გაითვალისწინებს.

„მივესალმები მთავრობის ინიციატივას აღვნილიყო შერჩეული სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. გარდა პროგრამით გათვალისწინებული თანხისა, ოზურგეთის მუნიციალიტეტის მერია მოსალხეობასთან შეხვედრების დროს წამოჭრილი ყველა საკითხის მოსაგვარებლად დამატებით სახსრებს გაიღებს,“- აღნიშნა მერის მოადგილემ.

მოსახლეობასთან შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში 27 თებერვლამდე გაიმართება.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 3 (10297) 21 იანვარი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

გურიის სტატისტიკის ბიუროს ბადრი რამიშვილი უხელმძღვანელებს

ალიონი. 17 დეკემბერს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გაიმართა გურიის სტატისტიკის ბიუროს უფ-როსის **ბადრი რამიშვილის** წა-რდგენა.. შეხვედრას სახელმ-წ-იფო რწმუნებულის მოადგილე **გია ებრალიძე,** სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმას-რულებელი დირექტორი **გოგიტა თოდრაძე,** აღმას-რულებელი დირექტორის მოადგილე **პაატა შავიშვილი,** სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფ-როსი **ბორის ეზუგბაია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალეკო სარიშვილი,** რწმუნებულის ადმინისტრაციისა და სტატისტ-იკის ბიუროს თანამშრომლები დაესწრნენ.

ბადრი რამიშვილის წარდგენის შემდეგ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრუ-ლებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ სამსახურის სტრატეგიის პრეზენტაცია გააკეთა. მანვე უპასუხა დარბაზში დასმულ შეკითხვებს.

როგორც გოგიტა თოდ-რაძემ მედიასთან განაცხადა, ბიუროს მთავარი ფუნქცია-მოვალეობა რეგიონის მასშტაბით სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება იქნება.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“

ერთ წლით – 30 ლარი

6 თვით – 15 ლარი

3 თვით – 7.50 ლარი

პარკინგი – ბიუჯეტის შევსების წყარო თუ თეორიულად მოწონებული და პრაქტიკულად გაუმართლებელი პროექტი?

ალიონი. მას შემდეგ რაც ოზურგეთში პარკირების ახალი წესები ამოქმედდა, უკმაყოფილოა პარკირების მართვის ცენტრის ოპერატორებიც და სერვისის მომხმარებლებიც. დღევა-ნდელი რეგულაციით პარკირების გადასახდელი მანქანის გაჩერების დროის მიხედვით იანგარიშება.

– თუ ნახევარი საათი გაჩერდა მანქანა 25 თეთრს ვახდევინებთ, თუ ერთ საათს გაჩერ-და – 50 თეთრს, – გვეუბნება **ავთანდილ ჯორბენაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის ოპერატორი.

– 10 წუთით თუ გაჩერდა?

– მაშინ, იძულებული ვიქნები, მაინც 25 თეთრი გადავახდევინო. სხვა უფლება არ მაქვს. მაგრამ ქვითარს იმ ნახევარი საათის განმავლობაში ძალა აქვს მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედ პარკირების ადგილებზეც.

– დროს ინიშნავთ თუ როგორ ხდება?

– ქვითარს ვაწერთ დროს.

– გამოდის, ძალიან შრომატევადი სამსახური გაქვთ.

– შრომატევადი კი არა, ამაზე მეტი დასჯა არ შეიძლება ადამიანის. დილიდან საღამომდე შეუსვენებლად ვმუშაობთ.

– იმ ადამიანებმა რა უნდა გადაიხადონ, რომლებიც ახლომდებარე აფთიაქებში, საყოფაცხოვრებო ობიექტებში, მაღაზიებში მუშაობენ და მთელი დღე მოუწევთ თქვენთან მანქანის გაჩერება?

– ხუთი ლარი უნდა „ჩამაბაროს“ მე. მე უნდა მივუტანო „იმათ“.

– ანუ გამოდის, თითოეულმა თვეში 150 ლარი უნდა გადაიხადოს. თქვენ როგორ ფიქრობთ ეს სამართლიანია?

– ჩემი თავი ენაცვალოთ, კარგი ხალხია, მაგრამ ასეა და რა ვქნათ.

– ჯარიმებს წერთ?

– მე არა. ჯარიმებს სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი წერს.

– რა შემთხვევაში წერენ ჯარიმას?

– მე ყველას ვეუბნები, აიღე ქვითარი და გადაიხადე-მეთქი. თუ არ გადაიხდის, აჯარიმებენ.

– ხელფასი როგორი გაქვთ?

– 200 თუ 250 ლარს დამპირდნენ. 200 ლარად ამ წვიმაში მთელი დღე უნდა ვიდგე. ეს თანხა რას მიშველის, გრიპი რომ დამემართოს ამ სიცივეში.

როცა ბატონ ავთანდილთან დავამთავრეთ საუბარი, იქვე რამდენიმე მეტრში მდებარე **სილამაზის სალონში** შევედით. თანამშრომლები ახალი ტარიფით უკმაყოფილოები არიან.

- სად გვაქვს ამდენის გადახდის საშუალება. ან რომელ ქალაქშია ამხელა გადასახადი „სტაიანკაზე“? დიდ ქალაქებში 40-50 ლარად აძლევენ ტალონს, რომელიც მთელი წელი მოქმედებს. ჩვენ უფრო მდიდარი ქალაქი ვართ ვითომ? იყოს აბონემენტები რეალურ ფასად, როგორც დიდ ქალაქებშია და ყველა გადავიხდით. რატომ არ შეიძლება? გაგვცეს პასუხი

ვინც აკანონებს და ამ ფასებს აწესებს. - ერთხმად გააპროტესტეს ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილი წესები სალონის თანამშრომლებმა.

– აგერ სტილისტი გია გელენიძე დაჯარიმეს. წესიერი კაცია და მე-3 დღეს გადაიხადა. დღეს კიდევ მოუვიდა ჯარიმის ქვითარი განმეორებით. ეს საქმეა?

იქვე, ერთ-ერთმა მოქალაქემ გვითხრა, რომ სილამაზის სალონის წინ შშმ პირებისთვის მანქანის გასაჩერებელი ადგილი იყო გამოყოფილი. ამისთვის იყო სპეციალური აბრა, რომელიც მოხსნეს (ზედ ჩვეულებრივი პარკინგის ნიშანი გადააკრეს).

ნუგზარ ევგენიძეც ოპერატორად მუშაობდა. რაც ახალი რეგულაციები ამოქმედდა „მუშაობა აღარ უღირს.“ ამ წვიმაში ხელში ქოლგა, ჯოხი, ტალონი, კალამი და 11 საათიანი სამუშაო დღე. რომელიმე მანქანას ქვითარი თუ არ ექნება, შენ დაგაჯარიმებთო. ესე იგი

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ეს იყო მართლაც პროფესიულ დონეზე მომზადებული ანგარიში“



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, **ლავრენტი ბიგვავა** პირველი დეპუტატია, რომელმაც 2018 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა.

საანგარიშო პერიოდში იგი თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა ორ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, ასევე განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში და ფრაქციაში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

როგორც ლავრენტი ბიგვავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირებთან – მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან, სამსახურის უფროსებთან მისი შეხვედრის საგანი იყო მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების დაკმაყოფილების მიმდინარეობის პროცესების დაჩქარება და შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტა. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირებთან შეხვედრის დროს დაკმაყოფილდა 63 მოქალაქის მოთხოვნა, არ დაკმაყოფილდა 14-ისა, ხოლო სხვა უწყებებში შუამდგომლობა გაეწია 11 მოქალაქეს.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა:

– 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში;

– დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის შედგენაში;

– მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლის წესების პროექტის მომზადებაში;

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის წესის პროექტის დაზუსტებაში;

– მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე დასკვნის მომზადებაში;

– კურორტ კომისმთის მიწათ-სარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

– ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ცენტრის“ დებულების ცალკეული მუხლების დაზუსტებაში;

– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინ-ებული თანხების განკარგვის წესის კორექტირებასა და დაზუსტებაში;

– მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ცალკეული მუხლების დაზუსტებაში;

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობანაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის წესის კორექტირებული ვარიანტის შემუშავებაში;

– გარე ვაჭრობის რეგულირების წესის პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებაში;

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები, კატები და სხვა ცხოველები) მო-ვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის პროექტზე შენი-შვნებისა და რეკომენდაციების შემუშ-ავებაში;

– ქალაქ ოზურგეთში, ერისთავის ქუჩაზე საგზაო ნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ შესაბამისი განკარგულების მომზადებაში;

– მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე და 2018 წლის კვარტალური ბიუჯეტის ანგარიშებზე დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებაში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებულ ყველა პროექტზე ჰქონდა კონკრეტული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის, დაახლოებით 90%-ზე მეტის გათვალისწინება ხდებოდა და აისახებოდა შესაბამის პრო-ექტში. იყო გამონაკლისიც, მაგალითად, მუნიციპალიტეტის მერიამ დღემდე ვერ წარმოადგინა გარე ვაჭრობის რეგულირების პროექტის გადამუშავებული ვარიანტი, რომელიც გარკვეული შენიშვნებით დაუბრუნდა მას.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მოთხოვნისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამ-ისად, საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით საანგარიშო პერიოდში დეპუტატი შეხვდა 700-ზე მეტ მოქალაქეს. წარმოადგინა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს დაფიქსირებული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები:

– სასმელი წყლით უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება, გზების რეაბილიტაცია:

– საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება;

– საცხოვრებელი სახლების (კორპუსები) მოპირკეტების სამუშაოების შესრულება;

– საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება და აღდგენა;

– სპორტული ობიექტების მოწყობა (მინისტადიონი, კალათბურთის მოედანი);

– სასაფლაოებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია;

– გარე განათების ქსელის გაფართოება;– დასუფთავების პროცესების ეფექტიანი მართვა და სხვ.

ამომრჩევლებიდან საანგარიშო პერიოდში მიიღო 22 წინადადება და საჩივარი.. მიმდინარე პერიოდისათვის 19-ზე გაცემულია პასუხი, 3 ამომრ-ჩეველთან კი ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია.

აღნიშნული რაოდენობის კორესპონდენციების საფუძველზე მუნიციპალიტრტის მერიის მიერ:

მოწესრიგდა ორი ერთეული საკანალიზაციო ქსელი; დაიხურა 2 საცხოვრებელი სახლი; მოიხრეშა 300 გრძივი მეტრი სატრანსპორტო გზა; 4-ჯე შეკეთდა წყალმომარაგების ქსელი; ტექნიკური დახმარება გაეწია დენდროლოგიურ პარკს; მოეწყო 5 ერთეული გარე განათების სისტემა; მოსახლეობას მიეწოდა 12 კუბური მეტრი შეშა; ოზურგეთის მუნიციპალკიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან თანამშრომლობით, შესაბამის უწყებაში მომზადდა ანასეულის წყალმომარაგების პროექტი.

წარმოდგენილ ანგარიშზე თავიანთი აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა: **მარიკა ჩხიკვიშვილმა, გოჩა კილაძემ, გელა აროშიძემ.**

დეპუტატ **ლელა სავჯაიას** თქმით, ეს იყო პროფესიონალურ დონეზე გაკეთებული ანგარიში:

„ეს იყო მართლაც პროფესიულ დონეზე მომზადებული ანგარიში. პროფესიონალიზმსაც აქვს, ალბათ, ხარისხი, ბატონი ლავრენტი საუკეთესო პროფესიონალი, მეგობარი და პიროვნებაა, ვისთანაც ამა თუ იმ საკითხზე მუშაობისას მშვიდად ვგრძნობ თავს, რად-გან დარწმუნებული ვარ, რომ მისი გვერდში დგომით მაქსიმუმს შევძლებ.“

ლავრენტი ბიგვავას საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა დადებითად შეფასდა.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტის განხილვა ოზურგეთში

საქართველოს ადგილობრივ თვითმმა-რთველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (NALAG), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების მხარდაჭერით, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, საქართველოს რეგიონებში, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტზე საკონსულტაციო შეხვედრები დაიწყო.

შეხვედრა დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), არასამთავრობო სექტორისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

შეხვედრა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გახსნა. **დავით მელუამ** პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ აღნიშნული შეხვედრები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის დეცენტრალიზაციის საკითხებზე დიალოგის წარმართვასა და დეცენტრალიზაციის ახალ სტრატეგიაში ადგილობივი ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებას ისახავს მიზნად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა - **ნიკოლოზ როსებაშვილმა** დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტი პრეზენტაციის სახით წარმოადგინა და დამსწრე საზოგადოებას სტრატეგიის ძირითადი პრინციპები გაცნო.

მხარეებმა რეგიონებში არსებულ საჭიროებებზე ისაუბრეს და ის პრიორიტეტები განიხილეს, რომლებიც მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე იქნება ორიენტირებული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი სტრატეგიის (2019-2025) პროექტის განხილვის მიზნით შეხვედრებს სხვა რეგიონებშიც გეგმავს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, დასახლება ბახმაროს დაბის სტა-

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ბახმაროს დასახლება და მას დაბის სტატუსი მიენიჭა.

ამის შესახებ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **მაია ცქიტიშვილმა** განაცხადა.

„მთელი ეს წლები ბახმაროს არ ჰქონდა დასახლების სტატუსი, რაც ზღუდავდა კურორტის განვითარებას და იქ ინვესტიციების ჩადებას. მას უკვე აქვს სტატუსი, რაც ნიშნავს, რომ ექნება თვითმმართველობის სტრუქტურები და წვდომა საერთაშორისო დაფინანსებაზე. მზარდი პოტენციალიდან გამომდინარე, ჩვენც დიდი გეგმები გვაქვს. უკვე შემუშავებულია სივრცითი განვითარების გეგმა და ვმუშაობთ ბახმაროს ეკონომიკური განვითრების გეგმაზე, რათა სწორად განვსაზღვროთ კურორტის ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები. შარშან დავიწყეთ და უკვე 5 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციაა ჩადებული ელექტრომომრაგების პროექტში, რაც ბახმაროს დიდი ხნის პრობლემაა, წელს ეს პროექტი დასრულდება და 2400 კომლს ექნება მუდმივი ელექტრომომარაგება. ასევე ვგეგმავთ ცენტრალური სკვერის მოწყობას და სხვა საინტერესო პროექტებს, რაც გაახარებს როგორც ადგილობრივებს, ისე - დამსვენებლებს“ - აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

პარკინგი – ბიუჯეტის შევსების წყარო თუ თეორიულად მოწონებული და პრაქტიკულად გაუმართლებელი პროექტი?

არც ერთი მანქანა არ უნდა „გამეპაროს“. გამოდის 11 საათის განმავლობაში არც საჭმელი უნდა ვჭამო და არც საპირფარეშოში წავიდე. დაგვიწერეს გეგმა, კონკრეტულად რამდენი უნდა შეგვეტანა. გეგმა ადრეც იყო, მაგრამ რეალური. ხელშეკრულებაში ხელფასი 250 ლარი ეწერა, მაგრამ 100 ლარი მოგვცეს, ზოგს ნაკლებიც.

შპს „ჭალასაყდარის“ დამფუძნებელი და დირექტორი **ზურაბ გობრონიძე** 1996 წლიდან აღნიშნულ სფეროში მუშაობს. ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით შენიშვნა მასაც ბევრი აქვს. : – სამი ტერიტორია მაქვს პარკინგისთვის ჭანტურიას, ცხრა აპრილის და ერისთავის ქუჩებზე. რამიშვილის ქუჩაზეც მაქვს ადგილი პარკინგისთვის, მაგრამ ამავე დროს აღნიშნულ ტერიტორიაზე დგას ნიშანი- „დგომა აკრძალულია“. ამის გამო მაქვს დავა. ჩემი შპს ფინანსთა სამინისტროშია დარეგისტრირებული და გვაქვს მათი სპეციალური ქვითრები.

– საგადასახლო პრინციპი როგორია თქვენთან?

–ოპერატორს აქვს ქვითრები. აღებულ თანხას ოპერატორი საღამოს ან მეორე დილით მოიტანს ჩემთან და ჩამაბარებს. მე სალარო აპარატზე დავაფიქსირებ შემოსულ თანხას. ადგილზე გადასახადი გვაქვს საათში 30 თეთრი. მაგრამ ოზურგეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ხან 20 თეთრს გვიხდიან, ზოგჯერ საერთოდ ვერ იხდიან.

–ახალ საპარკინგო რეგულაციაზე რას ფიქრობთ? ახალი წესების შემოღებით გაუმჯობესდა მდგომარეობა?

– რა გაუმჯობესდაო, რას ამბობენ? მოძრაობა, თქვენ თვითონ ხედავთ, რომ არ გაუმჯობესებულა. თუ ფინანსურ მხარეს გულისხმობთ, კარგი რაა, ტარიფის გაზრდა?

სულიკო ჯაფარიძე (ოპერატორი): 15 წელია ამ ტერიტორიაზე ვმუშაობდი მაგრამ ასეთი რთული პირობები არ იყო.

– ხელფასი რამდენი მოგცეს?

– რასაც ჩაბარებთ თანხას, იმის მიხედვით მოგცემთ ხელფასსო და მე 30 ლარი მომიწია. ბევრი არ იხდის პარკირების თანხას. როცა გაჩერების დრო ვკითხე, შენ ვინ გკითხავსო.

– რომ არ იხდიან, დაჯარიმების არ ეშინიათ?

– მასეთი ფაქტი ბევრია. ზოგმა მეიდვა ქვითარი ზურგზე, გარეკა და წევიდა. იმის გამო, რა თქმა უნდა, დაჯარიმებენ. თუ გაგეპარა მანქანა და ქვითარი ვერ ამოწერე, შენ დაგჯარიმებთო, მითხრეს.

იასონ მეშველიანი: 30-თეთრიანი კი არა, სპეციალურად 50-თეთრიანი ქვითარი ამოწერეო. 30 თეთრი რომ მომცეს და 50 ამოვწერო დანარჩენი 20 ჩემი ჯიბიდან მოგიტანო-მეთქი?! გაჭირვებულ კაცს 20 თეთრი არ ქონდა, ახლა 50 თეთრი მოვთხოვო? იმ წუთშივევე ფული გამოართვიო . ადამიანი რომ მეუბნება, ამ წუთას ხურდა არ მაქვს, გამოგივლი და დაგიტოვებო, რა ვუთხრა? გინდა თუ არ გინდა დღეში 40 ლარი უნდა შემოგვიტანოო. შეუძლებელია-მეთქი– ვუთხარი. მაშინ გაიხადე ფორმა და წადი სახლშიო. ხოდა, წამოვედი.

ამისწინ ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები დამადგნენ თავზე, დამიყენეს მანქანა წინ, საღამომდე იჯდნენ შიგ თბილად. მე გამწარებული, გაყინული ვმუშაობდი. იქედან მაძალებდნენ, ქვითარი ამოწერეო. ბოლოს ავდექი, მივუყარე ქვითრები და ვუთხარი: – ბიძია, შენ სითბოში ხარ, მიადექი და შეავსე მაგი ქვითარი - მეთქი. წარმოიდგინეთ, წვიმაში ქოლგა დაიკავე, ქვითარი ავსე და მანქანა გარბის უკვე.

გოჩა ცინცაძე (ტაქსის მძღოლი): რამდენ ხანსაც გავჩერდებით, იმის მიხედვით ვიხდით თანხას. ხან სამი ლარი, ხან მეტი. შეიძლება ერთჯერადად შემომსვლელი მძღოლისთვის არ იყო დღევანდელი ტარიფი ძვირი, მაგრამ ტაქსს უნდა ჰქონდეს ფიქსირებული გადასახადი. რომ მოვიკითხე, ინტრიგანი ხარო,– მითხრეს.

თემურ მჟავია, აფთიაქი „სალბის“ მეპატრონე: – მე კანონმორჩილი ადამიანი ვარ. მივესალმები ბიუჯეტში თუ დამატებითი შემოსავლები იქნება, მაგრამ, მოვითხოვთ, ისევე, როგორც დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) შემოიღონ პარკირების საშვები. მაგალითად, ქ. ქუთაისში მსუბუქ ავტომობილს 1 საათში 50 თეთრს ახდევინებენ; 3 საათამდე პერიოდში – 1ლარს; ერთი დღე –2 ლარს; კვირაში 5 ლარს: 30 დღე – 10 ლარს; 6 თვე- 25 ლარს, ხოლო წლიური საშვი 40 ლარი ღირს. გადაიხდი პარკირების გადასახადს და გააჩერებთ ქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ნებისმიერ ადგილას.

სასურველია 3 თვის, 6 თვის შემდეგ გაკეთდეს ანალიზი, პარკირების ახალმა წესმა რა შემატა ადგილობრივ ბიუჯეტს, ან ხომ არ ემსახურება ახალი ა(ა)იპ-ის შექმნა გარკვეული პირების კეთილდღეობას, მათთვის ხელფასების მიღების სახით.

რომან გოგიტაური, ა(ა)იპ ოზურგეთის პარკირების მართვის ცენტრის დირექტორი: –ჩვენი ა(ა)იპ-ი ახალაშექმნილი ორგანიზაციაა. შტატში გვყავს ბუღალტერი, მონიტორინგის ჯგუფის უფროსი, ამ ჯგუფის ინსპექტორი, და ოპერატორების ჯგუფის უფროსი. ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს 60 ოპერატორთან.

ჩვენ პარკინგს ვახორციელებთ ჭანტურიას ქუჩაზე გმირთა მოედნიდან რამიშვილის ქუჩის კვეთამდე; გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის კვეთიდან გურიის ქუჩის დასაწყისამდე; გაბრიელ ეპისკოპოსის, იოანე პეტრიწის, აპოლონ წულაძის, გურიის ქუჩებზე; ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩის პირველ ჩიხში.

პარკინგის თანხა შეადგენს 50 თეთრს საათში, 25 თეთრს-30 წუთამდე.

–მაგრამ აპოლონ წულაძისა და სხვა ქუჩებზე მყოფი აფთიაქების, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტების თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ პარკინგის თანხის ეს ოდენობა მათთვის მიუღებელია, რადგან დღის განმავლობაში 5 ლარის გადახდა უწევთ?

–შპს „ჭალასაყდარს“, ავტოვაგზალს გააჩნიათ უფრო იაფიანი პარკინგი და შეუძლიათ იქ გააჩერონ. ან შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ იუსტიციის სახლის წინ, რესტორან „არგოსთან“ არსებული ავტოსადგომები. რამდენად მიზანშეწონილი უნდა იყოს ბიზნესისათვის მათი ობიექტის წინ გაჩერებული საკუთარი ავტომანქანები?. ამ ადგილებზე ყველას უნდა შეეძლოს გაჩერება. ამჟამად „ელეგანტის,“ სააქციო საზოგადოება „იმედის“ წინ შედარებით მოწესრიგდა პარკინგის საკითხი.

– როგორია ოპერატორების შრომის ანაზღაურება?

– ოპერატორები შემოტანილი თანხის 40 პროცენტს მიიღებენ ხელფასის სახით. ჩვენ 14 დეკემბერს დავიწყეთ მუშაობა. დეკემბრის დარჩენილ დღეებში ზოგმა ოპერატორმა 150 ლარი მიიღო ხელფასის სახით, ზოგმა 60 და ა.შ.

– აპირებთ თუ არა, ისე როგორც თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა ქალაქებში პარკინგის საშვის შემოღებას, რომელიც ერთგვარად მოაწესრიგებს და გაუადვილებს მძღოლებს ავტოსადომებით სარგებლობას?

– ჩვენ ა(ა)იპ-ი ვართ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიხედვით ვმოქმედებთ. ალბათ მომავალში იფიქრებენ პარკინგის თემის დახვეწაზე.

კახა კვაჭანტირაძე, მონიტორინგის ჯგუფის უფროსი: – ფასიან ავტოსადგომზე მდგომ ავტომანქანის მძღოლს პარკინგის ქვითარი უნდა ჰქონდეს ავტომანქანაში გამოსაჩენ ადგილზე. თუ არ აქვს, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმს ვწერთ. ეს ოქმი გადაეცემა მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც კავშირშია საპატრულო სამსახურთან და ხდება ავტომობილის მძღოლის იდენფიცირება. ჯარიმის ოდენობა 10 ლარია და ჯარიმის თანხა შედის სახელმწიფო ხაზინაში.

– თუკი ამ მძღოლმა ჯარიმის თანხა არ გადაიხადა?

–თუკი დაჯარიმებულმა პირმა ერთი თვის განმავლობაში არ გადაიხადა ჯარიმის თანხა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (მუხლი 125, მე-4 პუნქტის პირველი ნაწილი) საფუძველზე დაეკისრება 150 ლარის გადახდა, ხოლო შემდეგ განხორციელდება აღსრულების ღონისძიებები.

ლევან მგელაძე, საკრებულოს-ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე: – პარკინგის თემა მოუწესრიგებელი იყო ოზურგეთში. აღარ არსებობდა პარკინგის ადგილი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა ახალი რეგულაციები პარკინგთან დაკავშირებით, რომელიც განიხილა ყველა ფრაქციამ, შესაბამისმა კომისიამ და საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება.

ვთვლი, რომ ეს ინიციატივა თეორიულად მოწონებული იქნა, მაგრამ ჯერჯერობით არ ასახულა პრაქტიკაში.

საზოგადოება ჯერ არაა შეჩვეული პარკინგის ახალ ფორმას. მოუმზადებელია ოპერატორები.

ვფიქრობ პარკინგის მოწესრიგების საკითხი თანდათან დაიხვეწება და ვიმედოვნებ უახლოეს ხანში დარეგულირდება.

მერამდენე ადგილობრივი ხელისუფლება ამოავსებს ამ ორმოს?

ალიონი. ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსისა და იოანე პეტრიწის ქუჩების კვეთაზე ეს ხელოვნური ორმო წინა ხელისუფლების „ნახელავია“. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ახალი ხელისუფლებაც მოვიდა, მაგრამ ამ ორმოს ამომვსები და ზედ ასფალტის დამგები დღემდე არავინ ჩანს. არადა, ქვეითთათვის აქ გავლა არა თუ ზამთარში, ზაფხულობითაც ჭირს, განსაკუთრებით ნალექიანი ამინდის დროს, როცა ორმოში მუხლამდე წყალი დგება და თუ სიგრძეზე ხტომაში ნავარჯიშები არ ხარ, არ უნდა გარისკო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარკვეული დროით, ბაყაყივით, გუბის ბინადარი გახდები, „ფეხებდათბილულმა“ კი შეიძლება ყიყინიც დაიწყო.

თუმცა, არის გამოსავალი, თუ ისეთ დროს შეარჩევთ, როცა ავტომობილი პეტრიწის ქუჩიდან გ. ეპისკოპოსის ქუჩაზე გადაუხვევს. იქვე, წყალსაწრეტი არხის რკინის ხუფი საბურავის გადავლისას ისეთ ჭახანს მოადენს, შიშით ერთს კი არა, სამ ასეთ ორმოს გადაახტები და ვინ იცის, იქნებ ბიმონის (მსოფლიოს რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში) რეკორდიც კი დაამხო.

მეფუტკრეთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი **„თანამედროვე მეფუტკრეობა“** ლისონის ფირმის თანამედროვე დანადგარებით მეფუტკრეებს თავაზობს ფუტკრის საკვებ პროდუქტებს – **„კანდს“** და **„ინვერსიულ სიროფს“** ხელსაყრელ ფასებში:

– 1 კგ კანდი – 4 ლარი,

– 1 კგ ინვერსიული სიროფი (ბუნებრივი ფერმენტებით) – 2.5 ლარი,

– 1 კგ ინვერსიული სიროფი (თაფლით) – 4 ლარი.

ასევე მსურველებს მოვემსახურებით თავიანთი ნედლეულით.

მისამართი: ლანჩხუთი, სოფ. გვიმბალაური.

ტელ: 551 841 841; 593 222 216; 593 272 9000.

გურიის სამთავროს გაუქმება

(XIX საუკუნის პირველი მესამედი)

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



1828 წლის 27 ივლისს ივან პასკევიჩმა მოხსენება გაუგზავნა ნიკოლაი I-ს. კავკასიის მთავარსარდალი იმპერატორს სთხოვდა მიეცა მითითება, თუ როგორ ემოქმედა იმ შემთხვევაში, თუ დედოფალი სოფიო ოსმალეთში გაიქცეოდა ან გურიაში დარჩენას გადაწყვეტდა. იმპერატორმა კავკასიის მთავარსარდალს ასეთი მითითება მისცა: თუ დედოფალი სოფიო ოსმალეთში გაიქცეოდა, გურიის სამთავრო უშუალოდ უნდა შეერთებოდა რუსეთს და იმერეთის დროებით მმართველობას დამორჩილებოდა; თუ დედოფალი გურიაში დარჩებოდა, მას ყველა უფლება უნდა ჩამორთმეოდა და ტახტის მემკვიდრის სრულწლოვანებამდე სამთავროს მართვა-გამგეობა საბჭოს უნდა გადასცემოდა, რომლის თავმჯდომარეც რუსი მოხელე იქნებოდა.

დედოფალი სოფიო დარწმუნდა, რომ ოსმალეთი რუსეთთან ომში დამარცხდებოდა. 1828 წლის 8 აგვისტოს **სოფიომ** მონანიების წერილი მისწერა ივან პასკევიჩს და თან აღუთქვა: რუსეთისადმი ერთგულების დამტკიცების მიზნით გურიის ლაშქრით **ქობულეთს, ჩაქვს** და **ბათუმს** დაიკავებდა და რუსეთს გადასცემდა, ოღონდ მოლაშქრეთა გასამხნევებლად პასკევიჩს ჯარით დახმარებას სთხოვდა. 16 აგვისტოს სოფიომ მონანიების წერილი გაუგზავნა თბილისის სამხედრო გუბერნატორ გენერალ-ადიუტანტ **ნიკოლაი სიპიაგინსაც.** პასკევიჩმა დედოფალ სოფიოს ქობულეთის, ჩაქვისა და ბათუმის დასაკავებლად ორი კვირა მისცა, იმავდროულად კავკასიის მთავარსარდალმა გენერალ კარლ ჰესსეს მისწერა: თუ დედოფალი სოფიო დანაპირებს ორ კვირაში არ შეასრულებს, გურია ჯარით დაიკავე, დედოფალი გადააყენე და სამთავროს მართვა-გამგეობა რუსი ოფიცრის თავმჯდომარეობით **გურულ თავადთა საბჭოს** გადაეცი. პასკევიჩმა კარგად უწყოდა, რომ დედოფალ სოფიოს კიდეც რომ მოენდომებინა, გურიის ლაშქრით ქობულეთს, ჩაქვსა და ბათუმს ვერ დაიკავებდა.

1828 წლის 16 აგვისტოს რუსეთის ჯარმა **ახალციხე** აიღო. ოსმალებმა სამხრეთ კავკასიაში მთავარი დასაყრდენი დაკარგეს. ოსმალეთის მარცხმა ივან პასკევიჩს ქობულეთისა და ბათუმის დაკავების იმედი აღუძრა, რის გამოც დედოფალ სოფიოს შემოთავაზებას რუსები უკვე სერიოზულად მოეკიდნენ. პასკევიჩი ვარაუდობდა, რომ გურიის ჯარის შეჭრას ოსმალეთის სამფლობელოებში შეიძლებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ისლამის აღმსარებელი ქართველების, აჭარლების, ამბოხება მოჰყოლოდა. 1828 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში აფხაზეთის მთავარმა **მიხეილ შერვაშიძემ** გენერალ კარლ ჰესსეს სთხოვა, ეშუამდგომლა კავკასიის მთავარსარდლის წინაშე, რათა მისთვის აფხაზეთის ჯარით ქობულეთის დაკავების ნება დაერთო. მიხეილ შერვაშიძე პასკევიჩს ჯარით დახმარებას არ სთხოვდა, თუმცა საჭიროდ მიაჩნდა, რომ ლაშქრობის დროს რუსეთის სამხედრო გემებს ზღვის ნაპირ-ნაპირ ეცურათ, რათა ნავებით მომავალი აფხაზეთის ლაშქარი ოსმალთა ფლოტის მოულოდნელი თავდასხმისაგან დაეცვათ.

დედოფალმა სოფიომ და მიხეილ შერვაშიძემ იცოდნენ, რომ სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის მარცხმა აჭარაში პრორუსული განწყობილება გაძლიერა. ქობულეთის სანჯაყის ბეიმ **მემედ თავდგირიძემ** რუსეთის სარდლობას აცნობა: თუ რუსეთის ჯარი ქობულეთზე გაილაშქრებს, მე თქვენ მხარეს გადმოვალ და დაგეხმარებით, ოსმალთა წინააღმდეგ დამოუკიდებლად ბრძოლა არ შემიძლია, რადგან ქობულეთში ტრაპიზონის ფაშას გამოგზავნილი 2.000 ოსმალო დგას **ოსმან ბეის** სარდლობითო. მემედ თავდგირიძეს მხარს უჭერდა მისი ძმა **ასლან ბეი თავდგირიძე.**

1828 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ფლოტი **ტრაპიზონისაკენ** დაიძრა და **ჭანეთის** სანაპიროზე ოსმალეთის სიმაგრეები დაბომბა, თუმცა რაიმე არსებითი შედეგი ამას არ მოუტანია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ტრაპიზონზე სახმელეთო გზით ლაშქობას ენიჭებოდა. ქობულეთის მიმართულებით ლაშქრობის დაწყებამდე ივან პასკევიჩმა გადაწყვიტა გურიაში საიმედო ზურგის შექმნის მიზნით დედოფალ სოფიოსათვის მძევლები (დავით მაჭუტაძე და დავით ვახტანგის ძე ერისთავი) მოეთხოვა. სოფიომ მძევლების გაგზავნაზე უარი განაცხადა. მაშინ პასკევიჩმა გურიაში თავადი **ფალავანდიშვილი** გაგზავნა და დედოფალს გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს ამოქმედება მოსთხოვა. სოფიომ ამაზეც უარი განაცხადა და რუსეთის წინააღმდეგ სარბოლველად მზადება დაიწყო. დედოფლის ბრძანებით, სასწრაფოდ გაამაგრეს **ასკანის** ციხის გალავანი.

1828 წლის 8 სექტემბერს პასკევიჩმა რუსეთის ჯარის მთავარი შტაბის უფროს ივან დიბიჩს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც თავისი შეხე-დულება ჩამოაყალიბა გურიის სამთავროს შესახებ. კავკასიის მთავარსარდალი წერდა: დედოფალი სოფიო გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადაყენებული უნდა იქნეს; სამთავროს ტახტის მემკვიდრის სრულწლოვნებამდე გურიის სამთავრო უნდა განაგოს საბჭომ რუსი ოფიცრის თავმჯდომარეობით; თუ ტახტის მემკვიდრე **დავით ბატონიშვილი** ოსმალეთში გაიქცევა, მაშინ გურიის სამთავრო უშუალოდ უნდა შეუერთდეს რუსეთს. პასკევიჩი დიბიჩს განუმარტავდა, თუ რატომ არ დაიკავა ჯარით გურიის სამთავრო: გურიის საზღვართან 5.000 აჭარელი და ლაზი, ყველა კარგი მსროლელი, იდგა, რომლებიც შემდეგ ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად წავიდნენ; გურიაზე, ახალციხესა და ყარსზე ერთდროულად რომ გველაშქრა, დავმარცხდებოდით; ახლა, როცა ყარსი, არტაანი, ახალციხე, ხერთვისი და აწყური რუსეთის ჯარს უკავია, გურიას უსისხლოდ დავიმორჩილებთ, რადგან გურულებს ოსმალები ველარ დეხმარებიანო. 1828 წლის სექტემბერში შავი ზღვის სანაპიროზე ჩვეული კოკისპირული წვიმები დაიწყო, რამაც გზები გაუვალი გახადა. რუსეთის ჯარში გავრცელდა დიზენტერია, ციება და სხვა სნეულებები, მოულოდნელად ძლიერ აცივდა. ყოველივე ამის გამო ტრაპიზონისაკენ ხმელეთის გზით გალაშქრება შეუძლებელი გახდა. 1828 წლის 30 სექტემბერს ამოიწურა პასკევიჩის მიერ დედოფალ სოფიოსათვის ქობულეთის, ჩაქვისა და ბა-თუმის დასაკავებლად მიცემული ვადა. გენერალ-მაიორმა კარლ ჰესსემ კავკასიის მთავარსარდლის მითითება შეასრულა და 30 სექტემბერს 2 ბატალიონი გურიაში შეიყვანა. დედოფალმა სოფიომ მომხრეებთან ერთად ოზურგეთის სასახლე დატოვა, მთელი ქონება თან წაიღო და **ლიხაურის** ციხეში გადავიდა. მალე რუსებმა ოზურგეთი და ასკანის ციხე დაიკავეს. კარლ ჰესსეს დედოფლის დაპატიმრება ჰქონდა ნაბრძანები. გენერალმა მოსახლეობისათვის თვალის ახვევის მიზნით გამოაცხადა: გურიაში ჯარით იმიტომ შემოვედი, რომ გურიის ჯართან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გაილაშქროო. ჰესსემ დედოფალ სოფიოს შეუთვალა ოზურგეთში დაბრუნებულიყო და ლაშქრობის გეგმა ერთად შეედგინათ. სოფიო კარლ ჰესსესთან შეხვედრას აპირებდა, მაგრამ ამ ჟანზრასვაზე დავით მაჭუტაძემ ალები ნელი. 1828 წლის 1 ოქტომბერს დედოფალმა ლიხაურის ციხე დატოვა და ქობულეთში ოსმალო სარდალ ოსმან ბეისთან გამოცხადდა. ლიხაურის ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა. ციხეში რუსებს დახვდნენ დედოფლის მცირეწლოვანი შვილები **სოფიო** და **ტერეზია.** უფროსი შვილები, ტახტის მემკვიდ-რე **დავითი** და **ეკატერინე,** დედოფალს თან წაეყვანა..

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ ბურული,

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918, ტ. 1. გვ.439-440)

გაგრძელება დასაწყისი იხილეთ „ალიონი“ №1

„მამა საქართველოსი“

ალიონი. შარშან, დეკემბრის ბოლოს, სოფელ შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სულხან საბა ორბელიანის დაბადებიდან 360 წლისთავს ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „მამა საქართველოსი“ მიუძღვნეს.

შრომის საჯარო სკოლა გამოირჩევა ნიჭიერი და ინიციატივიანი ახალგაზრდებით. მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ სხვადასხვა კონკურსებში, სპორტულ შეჯიბრებებში და ხშირად აწყობენ ლამაზ ღონისძიებებს. მოსწავლეთა აქტივობებში დიდი წვლილი მიუძღვის სკოლის დირექტორს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელს **რუსუდან ცეცხლაძეს.**

მოკლე ისტორიული ექსკურსი სულხან-საბას ცხოვრებიდან:

მისი მოღვაწეობის. ხანა განსაკუთრებული ძნელბედობით ხასიათდებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ერის საუკეთესო შვილების თავგადასავლებიც ისევე ტრაგიკული იყო, როგორც მათი სამშობლოსი. ამ დროს, ირანელთა ზეგავლენით, ბაგრატიონთა გვარში დიდი არევ-დარევა და განხეთქილება სუფევდა. ინტრიგები კი ხშირად ტრაგიკულად მოქმედებდა ქვეყნის ბედზეც და მამულიშვილთა პირად ცხოვრებებზეც.

მე-17 საუკუნის II ნახევრის ქართლში არჩილ II-ისა და გიორგი XI-ის ეროვნულ პოლიტიკას ებრძოდა ერეკლე I-ის ავანტურისტული სულისკვეთება. დინასტიური კინკლაობა ქართლისა და კახეთის მემკვიდრეებს შორის განსაკუთრებულად გამწვავდა ვახტანგVI-ის მეფობის დროს.... საქართველოს იმჟამინდელი მესვეურები ერთსა და იმავე დროს, მეგობრობას ჰპირდებოდნენ ირანს, ოსმალეთს, რუსეთსა და დასავლეთ ევროპას.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებდა ამ რთულ პერიოდს: *„შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშობა, ვიდრე სოდომამდე. ტყუვილი, ხორცთგანსვენება, უგვანო კეკლუცობა, რამეთუ ამა საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდნენ პატივს, მღვდელმთავარნიც ჰყოფდნენ უჯეროთა.“*

ამ საშინელ ქაოსსა და გაუტანლობაში მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე „მარილი ამა სოფლისაი“და მადლიანი ადამიანები შეებრძოლებოდნენ ეპოქის სიდუხჭირეს.

XVII-XVIII საუკუნეებში მათ საფუძველი ჩაუყარეს იმ კულტურულ აღმავლობას, შემდეგ რომ „აღორძინება“ ეწოდა. მათ შორის იყვნენ: მარიამ დედოფალი (როსტომის მეუღლე), არჩილ II, გიორგი XI, ვახტანგVI და სხვანი. ამ წრეს ეკუთვნოდა სულხან-საბა ორბელიანიც.

სულხან-საბა ორბელიანს ფართო დიაპაზონი ჰქონდა. როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, მან კარგად იცოდა ღვთიმეტყველება და სასულიერო მწერლობა, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, მათემატიკა, უცხო ენები.

1698 წლის 18 მარტს სულხანი ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის მრავალმთის ნათლისცემის მონასტერში და სახელი სულხანი საბად შეუცვლია.

სულხანმა, მამიდაშვილის, ვახტანგის გამეფებისთანავე 1703 წელს დატოვა მონასტერი და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

სულხანის ჭკუა-გონებას, განათლებას და გამოცდილებას დიდად აფასებდნენ მისი ნათესავები, განსაკუთრებით ვახტანგ VI. 1710-1713 წლებში სულხანი ხვარასანში გაიწვია ვახტანგის ძმამ –ქაიხოსრომ, პოლიტიკური საქმეების მოსაგვარებლად. 1713 წლის 18 აგვისტოს სულხან-საბა მისიონერ რაშარ და ლუის გაჰყვა ევროპაში და იქ ვახტანგ VI წერილები წაიღო. ის დიდი პატივით მიიღეს, როგორც რომის პაპმა კლიმენტოს XII-მ, ასევე საფრანგეთის მეფე ლუი XIV-მ.

საბას დიპლომატიურ მისიას იმდროინდელი საქართველოსთვის პრაქტიკული ნაყოფი არ გამოუღია, ეს ნაბიჯი იყო ევროპულ სამყაროსთან საქართველოს კავშირის აღდგენის ისტორიული გამოხატულება.

1716 წლის ივლისში საბა ქართლში დაბრუნდა, სადაც მართლმადიდებლური ეკლესიის რისხვა დაატყდა თავს, შემდეგ კი, ქართლის აწეწილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ვახტანგ VI -თან ერთად, რუსეთისაკენ გაეშურა. საბამ პეტერბურგამდე ვერ მიაღწია.1722 წელს იგი მოსკოვთან ახლოს, არჩილის ასულის, თამარის სასახლეში გარდაიცვალა.

რა თემები წარმოადგინეს შრომის სკოლის მოსწავლეებმა: „საბა-სულხანი ყველა ქართველისათვის“; „ამგვარ კაცებს ერი უსმენს“; „თუკი ერთხელ მაინც“; „სულხან-საბა ორბელიანის ორიგინალურ თხზულებათაგან“; „წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“; „დღეს ჩვენი სკოლა ზეიმობს“ დ.ა.შ. (ქეთი მოსახლიშვილი, ლევან ბოლქვაძე, მაგდა გაგუა, ნინო მიქელაძე, ლევან ბოლქვაძე).

საინტერესოდ იყო წარმოდგენილი სულხან-საბას არაკები: „უტკბილესი და უმწარესი“, „კატის გაზრდილი ლომი“, „მეფე და მხატვარი“, „ენით დაკოდილი“, „ხარბი გლახაკი“, „მელი და წერო“, „კუ და მორიელი“, „დათვი და მონადირენი“, „იხვი და მყვარი“, „მეფე და ავსიტყვა“...

ღონისძიების მეორე ნაწილში ვიდეო მასალა წარმოადგინეს სულხან-საბას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სულხან-საბას ცხოვრების გზას, შემოქმედების კიდევ რამდენიმე მომხსენებელი ჰყავდა. არც საღამოზე წაკითხული ლექსთა რაოდენობა და მუსიკალური ნომრები იყო მცირე...

სულხან-საბა ორბელიანის როლს ასრულებდა მე-10 კლასის მოსწავლე საბა ხომერიკი.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ: მაგდა გაგუა, ლუკა ასანიძე, მარიამ კირკიტაძე, ნინო მიქელაძე, ხატია კოპლატაძე (მე-11 კლასი);

თეა ჩხაიძე, მარიამ ტუღუში, ანანო ჩხაიძე, თიკო ტყემალაძე, მარიამ აფარიანი, ვიკა აკრფიანი, ავთანდილ ფუტკარაძე, ზაურ და ლანა შეყლაშვილები, ნინო მერაბიშვილი, შოთა მუკუტაძე (მე-10 კლასი);

ელენე კვაჭანტირაძე, ანა კუბუსიძე, ეკატერინე შერვაშიძე, თამარ ჯაბუა, ანა ფუტკარაძე (მე-8 კლასი);

ქეთი მოსახლიშვილი, ლევან ბოლქვაძე (მე-7 კლასი);

ავთანდილ ხომერიკი, სანდრო ჯაბუა (მე-5 კლასი).

შრომის სკოლის მოსწავლეები წელს კიდევ რამდენიმე საინტერესო ღონისძიების გამართვას გეგმავენ.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

„სიმღიდრე, რომელიც ფულზე არ იყიდება“

„ბაბუაჩემი – არტემ ერქომაიშვი-ლი დიდებული ლოტბარი და მგალობელი მომღერალი იყო. იგი ნამდვილი „ხიდი“ აღმოჩნდა ძველ და ახალ თაობებს შორის. მან, სამგალობლო სკოლის ბოლო წარმომადგენელმა, ბატონ გრიგოლ ჩხიკვაძის თაოსნობით, 104 საგალობლის ცალ-ცალკე ხმები ჩაწერა თბილისის კონსერვატორიაში. ეს არის ფასდაუდებელი საგანძური ფოლკლორ-ისტებისათვის“.

ანზორ ერქომაიშვილი.

სიმართლე რომ ვთქვა, ერქომაიშვილების თემას შორიდან ვუვლიდი, რადგან ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა ყველაფერი თქვა და დიდებულად დაწერა თავისი სასიქადულო წინაპრების შესახებ. მაგრამ ერთმა ფაქტმა სურვილი გამიღვიძა, ხელახლა მომეთხრო თქვენთვის ამ შესანიშნავი ძმების ისტორიები. სულ ახლახან, საშობაოდ, ჩემს უფროს დასთან თინა ლომაძესთან სტუმრად ვიყავი. ერთხელ საუბარი ჩამოვარდა ერქომაიშვილებზე. ჩემი და მეუბნება, არტემ ერქომაიშვილი სიმღერას გვასწავლიდაო მაშინდელ ჩაის ტექ-ნიკუმში (ახლანდელი კოლეჯი „ჰორიზონტი“). არტემ ერქომაიშვილი ჩაის ტექნიკუმის გუნდს ამეცადინებდა თურმე. რატომღაც ეს მის ბიოგრაფიაში არ ჩანს. მაშინ ჩაის მრეწველობის ტექნიკუმი ძალიან პრესტიჟული იყო და ერთადერთი მთელ საქართველოში. ჩემი და როცა იქ სწავლობდა, ყმაწვილი ქალი იყო, ახლა 79 წლის გახლავთ. რეპერტუარს ვერ იხსენებს, მაგრამ კარგად ახსოვს ბატონი არტემი:

„ყოველთვის მზნედ მოდიოდა რეპეტიციაზე სტალინის ძეგლის მზრიდან უკვე ჭარმაგი, თეთრთმიანი კაცი, წელში გამართული, ჰეწიანი, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, შავი „აზიაკებით“. მე ფანჯრიდან ვუყურებდი“.

როგორი კაცი იყო-მეთქი, შევეკითხე. „გადასარევიო“, გურულად მიპასუხა.სწორედ ამ „ „გადასარევი“ ძმების ისტორიებს გავეცნოთ:

ერქომაიშვილები ძირითადად მაკვანეთში სახლობდნენ.მაკვანეთი გურიის გამორჩეული სოფელია. მისი სახელწოდება ერთი ლეგენდის მიხედვით ასეთია: „ძველთაგანვე ამ ადგილის მცხოვრებნი განთქმული იყვნენ აკვნების კეთებით. ამის გამო ადგილმა მიიღო სახელწოდება „აკვანეთი“, ეს სახელწოდება დროთა განმავლობაში გადაკეთდა „მაკვა-ნეთად“ და დღემდე ამ სახელითაა ცნობილი. არსებობს ლეგენდის მეორე ვერსიაც - მაკვანეთი მდებარეობს ორ მაღლობს - ბურღანასა და წყავშანას შორის, რომელიც მარაოსავით არის გაშლილი და აკვანივით ჩაწოლილი. ამ ლეგენდებს მოკლედ გადმოცცემს ბატონი ანზორ ერქომაშვილი:

„გორმაღალის მთიდან თუ გადმოხედავთ,მაკვანეთს ულამაზესი მდებარეობა აქვს,იგი ორ პატარა ქედს შუა აკვანივითაა ჩაწოლილი,ამიტომაც ადრე თურმე აკვანეთი ერქვა.

მაკვანეთი გურიაში ცნობილია თავისი მუსიკალური ტრადიციებით და მგალობელ-მომღერლებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აქ 49 გურული სიმღერა ჩაუწერიათ გრამფონის ფირფიტაზე, რომელიც დღეს ლონდონის ცენტრალურ არქივში ინახება...

გიგო ერქომაიშვილი

„...ჩემს გვარს 300 წლის მუსიკალური ტრადიცია აქვს. მე მისი მეშვიდე თაობა ვარ, - წერს ბატონი ანზორ ერქომაიშვილი. - ბაბუაჩემის გადმოცემით, ჩვენი მუსიკალური მეხსიერება გიგო ერქომაშვილიდან იწყება. მე იგი კარგად მახსოვს, ამიტომ შევეცდები გიამბოთ მის შესახებ რაც ვიცი, რაც სხვისაგან გამიგონია: გიგოს წინაპრები გიორგი და თომა ერქომაშვილები იყვნენ. ისინი სოფელ ასკანაში ცხოვრობდნენ და სახელგ-ანთქმული მომღერლები იყვნენ, გიორგი ადრე გარდაცვლილა. დარჩენია შვილი - თომა მეუღლითა და პატარა ივანეთი. ივანეს თურმე განსაკუთრებული ნიჭი დაჰყვა სიმღერაში ჰქონდა იშვიათი ხმა „გამყივანი“ და სიმღერით ანცვიფრებდა მსმენელს. ერთელ ასკანაში ქორწილი იყო, ტელემაკ ასათიანი ქალს ათხოვებდა ქვემო აკეთში სოფრომ მგელაძეზე,მაშინ წესად იყო მაყრად აგზავნიდნენ საუკეთესო მომღერლებს, რათა დამხდურებს დასჯიბრებოდნენ, ამიტომ ლხინი უსიმღეროდ არ შეიძლებოდა. თუ სოფელში კარგი მომღერლები არ იყვნენ მასპინძელი მათ სხვა სოფლიდან მოიპატიჟებდა. აკეთლებს ტრადიციულად კარგი მომღერლები ჰყავდათ, ასკანლებიც ღირსეულად დახვდნენ, მაგრამ აჯობეს აკეთლებმა. გაბრაზდა მასპინძელი - ტელემაკ ასათიანი და ბრძანა: სასწრაფოდ მოძებნეთ პატარა ივანე ერქომაშვილი და აქ მომგვარეთო“. შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა ივანე მოიყვანეს ქორწილში,მისმა „გამყივანმა“ შესძრა იქაურობა ,განცვიფრდა სიძე,თავისთან მოიხმო ივანე და საკადრისად დაასაჩუქრა.ასკანლებმა აჯობეს აკეთლებს.შეზახორშებულმა სიძემ შეჰკადრა სიმამრს:: „ამისთანა მომღერალი ჯერ არ მომისმენიაო-თუ ასე მოგეწონა შენი ფეშქაში იყოსო, უთხრა ასათიანმა და აჩუქა სიძეს თავისი პატარა ყმა. ასე რომ, მოაშორეს ივანე მშობლებს და წაიყვანეს აკეთში, სოფრომ მგელაძის კარზე, სადაც ზრდიდნენ, როგორც საკუთარ შვილს, ასწავლეს წერა-კითხვა, ხელსაქმე, მიაბარეს გამოცდილ მომღერლებს. დავაჟკაცდა ივანე და ცოლად შეირთო პინაიშვილის ქალი .მათ შეეძინათ სამი ვაჟი: ბეგლარი „მიხეილი და გიგო. ივანე შვილებს მომღერლებად ზრდიდა,მაგრამ არ დასცალდა. ჯერ ბეგლარი და მიხეილი დაიღუპნენ სახადით, მალე მათ მშობლებიც მიყვნენ და დარჩა გიგო უპატრონოდ. ნათლიამ,სოფრომ მგელაძემ თავის ოჯახში გადაიყვანა და იკისრა მისი მეურვეობა .გიგოს მამისგან ჰქონდა სიმღერები შესწავლილი, მაგრამ, როცა წამოიზარდა, მთელ სოფელში გამორჩეული მომღერალი გახდა. მალე სოფრომის მეუღლე გარდაიცვალა და გიგო ისევ უპატრონოდ დარჩა.სოფრომს ჰყავდა და ჯაჯიკი, რომელიც სოფელ მაკვანეთში იყო გათხოვილი აზნაურ ნაოსა იორაშვილზე. სოფრომმა სთხოვა დას, აღეზარდა გიგო.

გიგო დავაჟკაცდა. ასე, 20 წლის იქნებოდა, როცა გაიცნო ახალგაზრდა მომღერალი,რომელიც შესანიშნავად მღეროდა „გამყივანს“, ეს იყო გიორგი ბაბილოძე. ისინი დამეგობრდნენ და სიკვდილამდე არ მოშორებიან ერთმანეთს. მათ შეიამხანაგეს თანასოფლელი გიორგი იობიშვილი და შექმნეს იშვიათი ტრიო, რომელიც მომავალი ანსამბლის ბირთვი გახდა“.

გიორგი ბაბილოძეს კარგი და ჰყოლია, სახელად ეგვიტი, რომელიც კარგი მომღერალი და ჩონგურზე დამკვრელი ყოფილა, გიგოს ეგვიტი ცოლად შეურთავს. გიგოს ნოსამ მიწა აჩუქა, სახლი - ოდაც აიშენა და მაკვანეთში ერქომაიშვილების ერთი კერა შეიქმნა.

გიგოს და ეგვიტის ათი შვილი შეეძინათ:კალმანე, პახუმა, მარიამი, ილიკო, ლისა, არტემი, ანანია, ლიზიკო და ლადიკო, სუყველა არაჩვეულებრივი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. ბავშვებს სიმღერებს მამა და ბიძა გიორგი ბაბილოძე ასწავლიდნენ .გიგოს ოჯახური გუნდის მოსმენას, თურმე არაფერი ჯობდა.

გიგოს, გიორგი ბაბილოძისა და გიორგი იობიშვილის ტრიო მთელს გურიაში ყოფილა ცნობილი. გიგო მეზობელ სოფელში ასწავლიდა სიმღერებს, საიდანაც ნიჭიერი მომღერლები შემოიერთა: კვირიკეთიდან- ივლიანე კეჭაყმაძე, ბახვიდან -ერმილე მოლარიშვილი ,მაკვანეთიდან - ნანიკო ბურძგლა და შექმნა მომღერალთა ანსამბლი ,ისე,რომ სოფელში მათ გარეშე ნადი ან რომელიმე დღესასწაული არ ჩატარდებოდა. ანსამბლი დღიდღე პოპულარული ხდებოდა,ისინი ამდიდრებდნენ რეპერტუარს სიმღერა-საგალობლებით და საეკლესიო დღესასწაულებზე წირვის დროს მაკვანეთის ეკლესიაში გალობდნენ.

გიგო დაუახლოვდა ცნობილ მგალობელ-მომღერალს ,საზოგადო მოღვაწეს,მღვდელ ნესტორ კონტრიძეს,ვისგანაც მრავალი საგალობელი შეისწავლა .გიგო და მისი გუნდის წევრები სხვადასხვა სოფელში მოსმენილი სიმღერების ვარიანტებს ქმნიდნენ. ასე უნდა დამკვიდრებულიყო, როგორც ამბობენ, „ალიფაშას“ ერთ-ერთი ვარიანტი, ჯერ გიგოს რეპერტუარში,ხოლო შემდეგ მთელ გურულ ფოლკლორში (ეს სიმღერა მათ პირველად ქობულეთში, სოფელ ქაქუთში მოუსმენიათ ხუცუბნელი მომღერლებისაგან).

1907 წელს მასიკო სალუქვაძის (მაკვანეთელი თბილისში საკუთარი სამკერვალოები ჰქონდა) ინიციატივით ,ბრიტანეთის სააქციო საზოგადოება „გრამაფონის“ წარმომადგენლებს ჩაუწერიათ და გრამფდირფიტაზე გამოუციათ გიგოს ანსამბლის 49 სიმღერა. ამავე წელს მისი გუნდის მიერ ნამღერი 50 სიმღერა გერმანელებს თბილისში ჩაუწერიათ .

1918 წელს გიგო, ანანია, არტემ და ლადიკო ერქომაიშვილები, გიორგი ბაბილოძე, ნესტორ კონტრიძე თბილისში მიიწვიეს .ორმოცი დღის მანძილზე მათგან სიმღერები ჩაიწერეს მელიტონ ბალანჩივაძემ, დიმიტრი არაყიშვილმა, ია კარგარეთელმა, კოტე ფოცხვერაშვილმა, ანდრია ბალანჩივაძემ. იმავდროულად ერქომაიშვილები კვირაობით, თბილისში „ქაშვეთის“ ეკლესიაშიც გალობდნენ .

1921 წელს არტემ ერქომაიშვილმა ჩამოაყალიბა ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ:გიგო ,არტემ,ანანია,ვლადიმერ ერქომაიშვილები, გიორგი ბაბილოძე, დიმიტრი და ილარიონ პატარავები, აკაკი ბასილაშვილი, სერაფიონ ვაშალომიძე, ალიოშა წივწივაძე.

ამონარიდი ბატონ ანზორ ერქომაიშვილის წიგნიდან „ბაბუა“: „1929 წელს ლენინგრადში მიგვიწვიეს - დაიწყო ლადიკომ, - გიგო მაშინ 90 წლის შესრულდა, ხოლო გიორგი 95 წელს იყო მიღწეული, კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა, პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს სიმღერებს, ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორები დაესწნენ

კონცერტს, ისინი აღაფრთოვანა ამ ორი მოხუცის სიმღერამ, კერძოდ, გიორგის კრიმანჭულმა, კონცერტის შემდეგ მას ყელიც კი გაუსინჯეს, რამე ხომ არ უდევს შიგო. ერთ-ერთ კონცერტს დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი მაქსიმ გორკისთან ერთ დაესწრო,ჩვენმა სიმღერებმა ისინი აღაფრთოვანმა. კონცერტის შემდეგ მოვიდნენ და გულითადი მადლობა გადაგვიხადეს .რომენ როლანი ჩვენით დაინტერესდა და ბევრი შეკითხვა დაგვისვა, გამომში-დობებისას ითხოვა, მომასმენინეთ ეს საოცარი „ხასანბეგურაო“ და როცა სიმღერა დავამთავრეთ, გვითხრა: „ბედნიერია ის კუთხე ,სადაც ასეთი ხალხი ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმღერები აქვსო“. გიპიუსმა ჩვენი სიმღერები პროფესორ კუშნა-რიოვის ხელმძღვანელობით ფილფონოგრაფზე ჩაიწერა,ახლა სადაა, არ ვიცით.“ (ანზორ ექომაიშვილი „ ბაბუა“, გვ.27).

გიგო ერქომაიშვილი სოფელში ავტორიტეტულ ადამიანად ითვლებოდა .იგი სოფლის მამასახლისად აურჩევიათ.

საინტერესო ფაქტია ის, რომ გიგო ერქომაიშვილის ოჯახი იფარებდა ფირალებს. მის ოჯახში დიდხანს იმალებოდა მელქისედეკ გუნთაიშვილი. გუნთაიშვილი დღისით ოდის თავზე იმალებოდა ,ღამით კი ჩამოდიოდა და სამზადში, ძმებ ერქომაიშვილებთან ერთად, ქეიფობდა და მღეროდა. გიგოს სახლს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ: სისონა დარჩია, დათიკო შევარდნაძე და გოგია ღლონტი.

გიგო ერქომაშვილი გარდაიცვალა 1947 წელს დასაფლავებულია მაკვანეთში.

არტემ ერქომაიშვილი

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში საპატიო ადგილი ეკავა (ამჟამად ექსპოზიცია ჩამოხსნილია) გურულ მგალობელ-მომღერალთა ფოტოებს. მათ შორის გახლდათ ძმები არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაშვილები. მათ შესახებ მასალების შეგროვებისას ყურადღებით ამოვიწერე „ბაბუას ანდერძი“, რომელიც შემდეგ პირნათლად შეასრულა ბატონმა ანზორმა. ერთხელ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ არხზე სტუმრად ბრძანდებოდა ანზორ ერქომაშვილი, მისეული სილაღით ყვებოდა თუ როგორ შეაგროვა დიდი შრომითა და რუდუნებით სხვადასხვა ქვეყანაში მიმობნეული ქართული საგალობლები. არტემის პირადული ღირსების შესახებ კი თქვა :კოლეგებისათვის შენიშვნის მიცემა რომ უნდოდა, - ასეხომ არ აჯობებსო. როცა მისი ვაჟიშვილი დავითი ტრაგიკულად გარდაიცვალა, ამ დროს მახარაძეში ოლიმპიადის გამარჯვებულთა საღამო უნდა გამართულიყო.ზეიმი ერთი დღით გადადეს.მეორე დღეს რაიონის ხელმძღვანელები მისულან არტემთან და უთხოვიათ შენი შემცვლელი გვიშოვეო. ჩემი შემცვ-ლელი არ მეგულვება, მაცალეთ დათ-იკოს დამარხვა და თვითონვე გავუძღვები გუნდსო. იმ დღეს დარბაზში ტაშთან ერთად ხალხის ქვითინი ისმოდაო.

არტემი გიგოს და ეგვიტის მეშვიდე შვილი იყო. იგი დაიბადა 1887 წლის 26 ოქტომბერს მაკვანეთში.1896 წელს შეიყვანეს სოფლის სამკლასიან სკოლაში, ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. გურული სიმღერების შესრულებას დაეუფლა ბავშვობიდან. მისი მასწავლებლები იყვნენ მამამისი გიგო ერქომაიშვილი და ბიძა გიორგი ბაბილოძე.1904 წელს მამამ ასწავლა მარსელიოზა, რომელიც რევოლუციურად განწყობილი გურულების ჰიმნიც იყო. არტემი მარსელიოზას მის ტოლ ბიჭებს ასწავლიდა და საჭიროებისამებრ მღეროდა.

1907 წელს 20 წლის არტემი მონაწილეობდა გიგო ერქომაიშვილის გუნდის მიერ სიმღერების ფირფიტებზე ჩაწერაში. 1905 წელს მან მელქისედეკ ნაკაშიძესთან დაიწყო საგალობლების შესწავლა. არტემი მელქისედეკ ნაკაშიძეს ნესტორ კონტრიძემ წარუდგინა. მელქისედეკს მოეწონა ყმაწვილი ბიჭი და გიგოს სთხოვა, მომეცი ეს ბიჭი, წავიყვან ოზურგეთში და გალობას უფასოდ ვასწავლიო. ნაკაშიძესთან ერთად სწავლობდნენ დიმიტრი პატარავა და სამუელ ჩხიკვიშვილი. არტემმა ნაკაშიძისაგან 1911 წლამდე 2000-მდე საგალობელი ისწავლა,რომელიც 1966 წელს მაგნიტოფონზე ჩაწერა კომპოზიტორმა კახი როსებაშვილმა, 2002 წელს კი ნოტებზე გადაიღო დავით შუღლიაშვილმა.

1911 წელს არტემმა დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი გაუშვეს სენაკის მაზრაში სიმღერა-გალობის მასწავლებლად, სადაც სოფელ-სოფელ დადიოდა და ერთ სოფელში სამიდან ექვს თვემდე რჩებოდა. არტემმა მოიარა სოფლები: თეკლათი,ნოსირი, წყემი, გეჯეთი, ძონძირი, ისულა, საკიზიკიო, საოდიშარიო, საგამსახურდიო, კოტიან-ეთი, ნოქალაქევი, სუჯუნა, აბაშა, მარტვილი. ხელფას აძლევდნენ 45 მანეთს ეკლესიის შემოსავლიდან. არტემმა სამეგრელოში დაჰყო 1917 წლამდე და შემდეგ დაბრუნდა გურიაში,1925 წლამდე ხელმძღვანელობდა მამის ანსამბლს მაკვანეთში. ასევე მუშაობდა ზვანში, ციხისფერდში, კონჭკათში.

1918 წელს ვარლამ სიმონიშვილთან ერთად შექმნა გუნდი. მართავდა კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

1921 წელს არტემ ერქომაიშვილმა ჩამოაყალიბა სიმონიშვილისაგან დამოუკიდებელი 12-კაციანი გუნდი. ამ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: არტემის ბიძა გიორგი ბაბილოძე, ძმები ანანია და ვლადიმერ ერქომაშვილები, ძმები დიმიტრი და ილარიონ პატარავები, აბასილაშვილი, სვაშალომიძე, აწივწივაძე და სხვები.1924 წელს გუნდმა თბილისში ფირფიტებზე ჩაწერა გურული ხალხური სიმღერები, იმავე წელს ბათუმის გუნთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებსა და ბაქოში.

1925 წელს არტემი ხელმძღვანელობდა ბათუმში სანაპიროს მტვირთავთა გუნდს. 1927 წელს ბათუმის გუნდი გაიყვანა ქუთაისში ჩატარებულ I რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ჟურიმ გუნდს

გვ-6

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

„სიმღიდრე, რომელიც ფულზე არ იყიდება“

პირველი ადგილი და უმაღლესი ჯილდო მიაკუთვნა.

1929 წელს გუნდი გამოვიდა თბილისში II რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ამის შემდეგ არტემ ერქომაიშვილის გუნდი მიიწვიეს ლენინგრადში,მოსკოვსა და ხარკოვში. გუნდის რეპერტუარის თვალსაჩინო ნომერ-უშები ჩაიწერეს ფონოგრაფზე .

1930 წელს გუნდმა მონაწილეობა მიიღო თბილისში,რუსთაველის თეატრში გამართული გამარჯვებული გუნდების კონცერტში. ამ წლიდან გუნდი ბათუმის ქალაქის სპჭოს განკარგულებაში გადავიდა. 1934 წელს ერქომაიშვილის გუნდი წარმატებით გამოვიდა თბილისში,ოპერის თეატრში ამერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე. 1935 წელს მონაწილეობდა რადიოფესტივალის საკავშირო გადაცემაში. 1936 წლიდან ამ გუნდს „აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი“ ეწოდა. იგი 1937-38 წლებში წარდგა მე-4 და მე-5 რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.1940 წ-ლს გუნდმა კონცერტები გამართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. 1949 წელს გუნდი წარსდგა მე-6 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

1950 წელს, ვარლამ სიმონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, არტემ ერქომაიშვილი მიიწვიეს მახარაძის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელად. 1951 წელს ანსამბლი ბრწყინვალედ გამოვიდა მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.1951 წელს არტემ ერქომაიშვილს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეობის წოდება.1955 წელს სათავეში ჩაუდგა ლიხაურის 40-კაციან გუნდს.

1966 წელს არტემ ერქომ-აიშვილმა, როგორც საეკლესიო საგალობლების უკანასკნელმა მცოდნემ ,კონსერვატორიაში 200-მდე საგალობელი ჩაწერა. კომუნისტების აკრძალულ დროში იგი თბილისში ჩადიოდა და საგალობლებს წერდა გრიგოლ ჩხიკვაძის სტუდიაში. არტემ ერქომაიშვილი ცნობილია,როგორც თვითნასწავლი კომპოზიტორი. ავტორია სიმღერებისა: „პატარა ქართველი“, „მუშის სიმღერა“,„სიმღერა გურიაზე“,„ჩემი ბედი“, „სხვადასხვაგვარი სიყვარული“, „სიმღერა სამშობლოზე“.

1932 წელს გარდაიცვალნენ მომღერლებინესტორ კონტრიძე, სამეელ ჩავლეიშვილი და გიორგი ბაბილოძე. ამ-ასთან დაკავშირებით არტემ ერქომ-აიშვილმა შექმნა სიმღერა „დავკარგეთ სამი მომღერნი“

არტემი გარდაიცვალა 1967 წლის 2 თებერვალს, დაკრძალულია მშო-ბლიურ სოფელ მაკვანეთში.

ანანია ერქომაიშვილი

დაიბადა 1891 წლის 3 იანვარს სოფელ მაკვანეთში.

ანანია ერქომაიშვილი, ერქომაიშვილთა მომღერალი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია, იგი მისი უფროსი ძმის მოწაფე იყო და მისი ხელ-მძღვანელობით შეისწავლა სიმღერა-გალობის საფუძვლები. ჰქონდა მოქნილი,ფართო დიაპაზონის ხმა, ოსტატურად ასრულებდა განსხვავებულ ხმებს: ბანი, წვრილი და კრიმანჭული.

1918 წელს არტემ ,ვლადიმერ და გიგო ერქომაიშვილებთან ერთად მონაწილეობდა თბილისში გურული სიმღერების ნოტებზე ჩაწერაში. 1936 წლამდე ანანია არტემ ერქომაიშვილის გუნდის წევრი იყო.

1936 წელს, კირილე პაჭკორიას ინიციატივით, ის დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის სოლ-ისტი გახდა. მონაწილეობდა 1937 წელს მოსკოვში გამართულ დეკა-დაზე.1936-1960 წლებში ანანია კვლავ სახელმწიფო ანსამბლის წევრია.

1868 წელს ანანია ერქომაიშვილი თბილკვებვაჭრობის ანსამბლ „მეგობრობის“ სოლისტი გახდა.

1977 წელს საქართველოს რადიოში ანანიამ ჩაწერა გურული სიმ-ღერის სამივე ხმა. ანანია ერქომ-აიშვილს ქართულ ფოლკლორისტიკაში შეტანილი წვლილისათვის საქართ-ველ-ლოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

გარდაიცვალა 1977 წლის 31 იანვარს. დაკრძალულია თბილისში კუკიის სასაფლაოზე.

ვლადიმერ (ლადიკო) ერქომაიშვილი

დაიბადა 1895 წლის 23 თებერვალს სოფელ მაკვანეთში. დაა-მთავრა სოფლის ორკლასიანი სასწ-ავლებელი. ოჯახის ხელმოკლეობის გამო სწავლა ვერ განაგრძო.უფროსი და-ძმებისაგან შეისწავლა გურული სიმ-ღერების სამივე ხმა, ხოლო დედისაგან ჩონგურზე დაკვრა ისწავლა. სიმღერა 1905 წლიდან დაიწყო,1914 წელს მამის - გიგოს ანსამბლში ჩაირიცხა. ოცი წლისამ მასწავლებლობა დაიწყო.

თავდაპირველად, 1921-1927 წლებში, სიმღერებს ასწავლიდა გო-გიეთში, გურიანთაში, ნატანებში, ახა-ლსოფელში, რამაც ხალხში პოპულარობა მოუპოვა.

1923 წელს მიიწვიეს აჭარის სახელმწიფო კაპელაში მომღერლად და ხალხური სიმღერების მასწავლებლად. მოგვიანებით აჭარის ნავსადგურის მტვირთავი მუშების გურულ-აჭარულ გუნდში გადავიდა,სადაც წლების მანძ-ილზე სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. მოღვაწეობდა არტემ ერქომაიშვილის გუნდში.

სამამულო ომის პერიოდში კონცერტებს მართავდა სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. 1949 წელს, სოფელ შრომაში შექმნა გუნდი, რომელშიც სოციალისტური შრომის გმირი ექვსი ქალი მონაწილეობდა.

1937-1950 წლებში ხელმძღვა-ნელობდა მახარაძის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. მისი ხელმძღვანელობით ანსამბლი 1955 წელს რესპუბლიკურ ფესტივალზე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

1956 წელს მეექვსე მსოფლიო ფესტივალის საპატიო სიგელი დაიმსახურა. 1977 წელს ამავე ანსამბლმა ხალხური სიმღერის საკავშირო ფესტივალზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ვლადიმერ ერქომაიშვილმა ჩამოაყალიბა გუნდები ანასეულში, ექადიაში, ლიხაურში, დვაბზუში, აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხანაში, ჩაის ტექნიკუმში და სხვ.

1968 წელს მისი ინიციატივით დაარსდა სიმღერების შემსწავლელი ოთხწლიანი სკოლა. ის თავად იყო ამ სკოლის პედაგოგი გიორგი სალუქვაძესთან და დომენტი ქარჩავასთან ერთად. სკოლა 1972 წელს დაიხურა.

1979-81 წლებში ვლადიმერ ერქომაიშვილი გურული სიმღერების შემსწავლელი ბავშთა სტუდიების კონსულტანტი იყო.1979 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ანსამბლ „ ელესას“. 1980 წელს თბილისში აღინიშნა მისი 85 წლის იუბილე. ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გარდაიცვალა 1982 წელს.

როგორც ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ამბობს, არტემმა თავის ძმებთან - ლადიკოსა და ანანიასთან ერთად, მთელი ეპოქა შექმნა ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში. ძმებმა ერქომაიშვილებმა იმ უმძიმეს პერიოდში უდიდესი როლი შეასრულეს ძველი გურული სიმღერის მოძიება-გადარჩენა-აღორძინებაში და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში, სწორედ ამისთვის სამივე ძმას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები მიენიჭათ.

დავუბრუნდეთ არტემ ერქომაიშვილის ანდერძს: „შენ, - მითხრა ბაბუამ-მუსიკალური ტრადიციების მატარებელი მეექვსე თაობა ხარ ჩვენს ოჯახში...ახლა ბაბუა მომღერლების ძველი თაობა წავიდა ,ამჟამად მე გამაჩნია ის სიმდიდრე ,რომელიც არც ფულზე იყიდება და არც ოქროზე აიწონება. ამ სიმდიდრის ფასს ჯერ შენ ვერ გაიგებ. ეს არის სიმდიდრე, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება, მე რომ რაიმე შემემთხვას, ისეთი განძია წამყვება თან,რომლის დაკარგვას ერი არ გვაპატიებს, რომელსაც ვერავინ ვერ აღადგენს და ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვაწვება კისერზე. იცოდე, ეგ შენი და ჩემი საქმე როდია, ეს საერთო საქმეა.შენ სისხლში გაქვს გურული სიმღერა გამჯდარი,შენ ყველაზე მეტად შეგიძლია ამ საქმის გაკეთება, შენ ეს უნდა გააკეთოო“.(ანზორ ერქომაიშვილი, „შავი შაშვი ჩოიდაო“გვ.8)

თუ როგორ შეასრულა ბატონ ანზორ ერქომაიშვილმა ბაბუას ანდერძი, ეს არა მარტო საქართველომ, არამედ მსოფლიომ იცის.

ბატონი ანზორის დამსახურებაა ის, რომ დღეს ოზურგეთის ცენტრში მუზეუმის ყოფილ მარცხენა ფლიგელში განთავსებულია ფოლკლორის ცენტრი. მართალია, ჩვენ დავზარალდით, მაგრამ უახლოეს მომავალში, ჩვენი მუზეუმის რეაბილიტაციის შემთხვევაში, ქალაქის ცენტრში „გურიელთა ნაფუძარზე,ორი კულტურული დაწესებულება გვექნება:ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანება და ფოლკლორის ცენტრი.

ერთხელ ახალგაზრდა ნაპოლეონს უთქვამს: „ერთი უმცირესი ატომიც კი საკმარისია ჩემი დამხობისათვის,მაგრამ მანამდე, მე ჩემი გასაკეთებელი საქმე უნდა გავაკეთო.დიახ, ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა გააკეთა თავის გასაკეთებელი საქმე, ეს იყო მისი ბედისწერა და ამავდროულად მისი ბედნიერებაც, რადგან მის სახელთან განივთებულია საგალობლებისმოძიება, გადარჩენა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა, რასაც მან ათეული წლები მოანდომა და ახლაც ერის სამსახურშია ამ თვალსაზრისით.

მანანა ლომაძე,
სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

ხარ ქალობის ეტალონი

ბაილეთის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მზევინარ ხავთასს

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ,
სიხარულით, სავსე გულით,
საამაყო ოჯახის და
აღსაზრდელთა სიყვარულით.

ოზურგეთის მშვენება ხარ,
სიტყვით, საქმით, ცოდნით ქცევით,
მუდამ სამშობლოზე ფიქრით,
უკეთესი ხვალის რწმენით.

მეუღლეც სანიმუშო გყავს,
იგი გიდგას გვერდით ფარად.
დე, ასეთი ქალობისთვის,
იდღეგრძელე დიდხანს, მარად.

შვილითაც გეამაყება,
მას შეჰხარი მთელი გულით,
შენი ფიქრი, შრომა, გარჯა
მისკენ არის მიმართული.

მისაბაძი მეუღლე ხარ,
შეუდარებელი დედა,
რასაც შენი მეგობრები,
კოლეგებიც კარგად ხედავს.

შენი საქმით და ქალობით
გახდი სკოლის მეთაური,
ხარ მებრძოლი დირექტორი,
პედაგოგი ბედაური.

ვინც აშენებს ჩვენს მომავალს,
იმათ შორის შენც ხარ ერთი,
ასე გიცნობს შენი კუთხე,
დედულეთი, მამულეთი.

ასე გიცნობს განათლებაც,
შენი მუშაობის სფერო.
მსურს მათ შორის რომ მეც ვიყო
და, როგორც შვილს, მოგეფერო.

ჩემგან ნათქვამ ამ შენს ხოტბას
აძლიერებს პრესის დენთი,
ხარ ქალობის ეტალონი,
დიაცობის პრეზიდენტი.

ამირან მამულაიშვილი,
სწავლული აგრონომი,
ჟურნალისტი.

მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს

ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში წინასაახალწლო პერიოდში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, რის გამოც სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის მერს **კონსტანტინე შარაშენიძეს** და მერიას. უსურვებს მათ წარმატებებს ჩვენი ქალაქისთვის სასიკეთო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სულთათანა

ანასეულის საშუალო სკოლის 1957-58 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან მასწავლებელ **გუგული ძიძიგურის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უფლებადამცველს უფროსკლასელი გოგონებისთვის სკოლებში პრეზერვატივის ტარების რეკომენდაცია გაუცია

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, მშობლებთან და პედაგოგებთან შეხვედრისას, ერთ-ერთ უფლებადამცველს უფროსკლასელი გოგონებისათვის პრეზერვატივის ტარების რეკომენდაცია გაუცია.

სამარშრუტო მიკროავტობუსში უცნობი ქალბატონისგან ხმამაღლა ნათქვამი ეს ინფორმაცია ძნელი დასაჯერებელი იყო და ბოდიშის მოხდით, ვკითხე, საიდან ბრძანდებოდა, ყური მოჰკრა თუ ნამდვილია ეგ ამბავი?

„აბა, ახლა ვჭორიკანობ ამხელა ქალი? კარგად იცი, რომ ოზურგეთელი ვარ, თვითონ ვესწრებოდი ამ შეხვედრას და საკუთარი ყურით მოვისმინე, როგორ ბრძანა იმ ქალბატონმა: მე რომ უფროსკლასელი გოგონა მყავდეს, შემთხვევითი სექსისგან მოსალოდნელი ყოველგვარი საშიშროების თავიდან აშორების მიზნით, სკოლაში პრეზერვატივის ტარებას ვურჩევდიო“.

მთხრობელმა ქალბატონმა არ დააკონკრეტა სკოლა, დრო და ადგილი, არც საკუთარი და არც უფლებადამცველი ქალბატონის ვინაობა დაასახელა:

„შენ გაბარებ ახლა „აჩოტებს“, მეტი არ მაქ საქმე. რა, ჩემგან გესმით პირველად, ასეთი რამეები რომ ხდება?! უჩემოდაც კარგად გეიგებ ყველაფერს. ორი სიტყვა ვთქვი ჩემთვის, მეზობელთან და მიდი, გადამკიდე ახლა ცაი და ქვეყანა“. ინტრიგანი ყოფილხარ ნამდვილი“ – ნაკუწ-ნაკუწ ართმეულ კომენტარში შემოველანძღე ქალბატონს.

ვიეტნამელმა ექიმებმა პაციენტი 15 ქილა ლუდის დახმარებით გადაარჩინეს

რია-ნოვოსტი, 17 იანვარი. ვიეტნამში, კუანგჩის პროვინციაში ექიმებმა 48 წლის პაციენტი ნგუენ ვან ნხატი ლუდის დახმარებით გადაარჩინეს. ამის შესახებ გამომცემლობა Daily Mail იტყობინება.

მამაკაცი ჰოსპიტალში მოწამვლის ნიშნებით მოათავსეს. ინტენსიური თერაპიის განყოფილების ხელმძღვანელის ლე ვან ლამას სიტყვებით, პაციენტის სისხლში მეთანოლის დონემ 1119-ჯერ გადააჭარბა ნორმას.

ექიმებმა უგონოდ მყოფი პაციენტის კუჭში დაუყონებლივ შეიყვანეს სამი ქილა ლუდი და სწორედ ამით დააყოვნეს მისი ღვიძლისგან მეთანოლის გადამუშავება.

ამის შემდეგ მამაკაცის კუჭში კიდევ 12 ქილა ლუდი შეიყვანეს – საათში თითო, სანამ პაციენტი გონზე არ მოვიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ექიმებმა ჩაატარეს ჰემოდიალიზი – სისხლის გაწმენდა სასიკვდილოდ საშიში ტოქსინებისგან.

ექიმმა ლამმა განმარტა, რომ ადამიანის კუჭი და ნაწლავი განაგრძობს სისხლიდან ალკოჰოლის გამოდევნას მაშინაც კი, როცა ის იმყოფება უგონო მდგომარეობაში, ან უკვე შეწყვიტა დალევა. ნხატმა დაკარგა გონი, როცა მეთანოლი მის ორგანიზმში დაიჟანგა ფორმალდეჰიდამდე, რომელმაც თავის მხრივ გამოიმუშავა ჭიანჭველის მჟავა. ექიმმა აღნიშნა, რომ ალკოჰოლი ორგანიზმში აღწევს ორი – მეთანოლისა და ეთანოლის ფორმით, ღვიძლი კი, პირველ რიგში, ითვისებს ეთანოლს. ამით ისარგებლეს ექიმებმა მკურნალობის მეთოდის შერჩევისას.

მამაკაცი საავადმყოფოდან სამი კვირის შემდეგ გამოწერეს.

რა სტატუსი ექნება „ფონდი ქართუს“ მიერ განულებულ სესხებს

საკრედიტო ბიუროში აცხადებენ, რომ „ფონდი ქართუს“ მიერ განულებულ სესხებზე სტატუსის ცვლილება ეტაპობრივად მიმდინარეობს. ამის შესახებ ინფორმაციას გბცგე ავრცელებს.

საკრედიტო ბიუროს განცხადებით, პირველ ეტაპზე ყველა ასეთ სესხს მიეთითება, რომ სესხი „ნაყიდია ფონდ ქართუს მიერ“. პროცესის დასრულების შემდეგ კი სესხებს მიენიჭება „დახურულის“ სტატუსი.

„ჯთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მას შემდეგ რაც გადმოგვეცემა აღნიშნული სესხების სრული სია, მონაცემები ჩასწორდება ავტომატურად, თქვენი მოთხოვნის დფიქსირების გარეშე",- აცხადებენ ბიუროში.

ამ დროისთვის, ვებგვერდზე ვალიგე განთავსებულია ინფორმაცია 609 542 მსესხებლის, 1 360 991 სასესხო ჩანაწერის შესახებ, ჯამური დავალიანების თანხა 4 027 099 783 ლარია.

სკანვორდი



№ 2-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – მიხეილ ჭკუასელი; ამომავალი მზის ქვეყანა – იაპონია; კოკა-კოლას გამომგონებელი – პემბერტონ; უავტორო წერილი – ანონიმი; მადის დაკარგვა – ანორექსია; მეტყველების ორგანო – ენა; სამეურნეო ხელმძღვანელი – მნე; უძველესი ტომი – მაია; ალბანური ფული – ლეკი; ღრძილების ანთება – გინგივიტი; ქალაქი რაჭაში – ონი; ვოკალური ფორმა – რომანსი; კომა – აგონია; ანარქისტი „ლაზარედან“ – ანანია; ურანის თანამგზავრი – ელინდა; უბანი მთისპირში – უკანავა; ნაცია – აფხაზი; ადგილი მთასა და მთას შორის – ხეობა; ერთ-ერთი უძველესი მცენარე – გვიმრა; კამთლის თამაში – ყომარი; მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში – ტალი; ჭაობში გასასვლელი მოწყობილობა – ოჩოფეხა; კარგი გურულად – კაი; სარგავი მასალა – ნერგი; ძველი კანონის გაუქმება –აბროგაცია; სუბტროპიკული მცენარე – ჩაი; ერთგვარი პრიზი – თასი; ქალის სახელი – ბარბარე; სპორტული ფირმა – ადიდასი; თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი – დასი; გრამატიკული კავშირი – და; ციური სხეულის მოძრაობის გზა – ორბიტა; ყოფილი უნგრელი ფეხბურთელი – ბენე; აურყოფა – არა.

ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო - ჩვენია!



10 - 13 იანვარს თბილისში, ბერნულ რომაულ და თავისუფალ სტილით ჭიდაობაში, დიდებს შორის საქართველოს ჩემპინატი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მოჭიდავეთა გუნდებმა მიიღეს.

საქართველოს პირველობაზე (ბერძნულ - რომაულ სტილში) წარმატებით იასპარეზეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა.

ლევან ქავჟარაძე 63 კგ. წონითი კატეგორია (I ადგილი);

ზურაბ მაჭარაშვილი 55 კგ. წონითი კატეგორია (II ადგილი);

ირაკლი ძიმისტარაშვილი 60 კგ. წონითი კატეგორია (III ადგილი);

დავით ბაკურაძე 63 კგ. წონითი კატეგორია (III ადგილი);

ალექსი ლოდია 97 კგ. წონითი კატეგორია (III ადგილი).

აღნიშნული სპორტსმენები საქართველოს პირველობისთვის მწვრთნელებმა: ვლადიმერ და ზურაბ ზურაბიანებმა, გურამ მაჭარაშვილმა, თენგიზ მუჯირმა და ბექა ჩოფლიანმა მოამზადეს.

განცხადება

შპს „ვასაძის პური“ აცხადებს ვაკანსიას ვაიზერის თანამდებობაზე.

გასუბრება შედგება მიმდინარე წლის 28 იანვარს 10 საათზე.

მისამართი: სოფ. მაკვანეთი, საკონდიტრო „სანდომი“.

დაგვიკავშირდით: 595 04 01 01

საახალწლო საჭადრაკო ტურნირი სასიამოვნო სიურპრიზით დამთავრდა

ოზურგეთის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ტრადიციული სახაალწლო ტურნირი აქტიურ ჭადრაკში, რომელშიც ძირითადად მუნიციპალიტეტის გამოცდილი და ტიტულოვანი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით ტურნირში ექსპერიმენტის წესით ჩართული იყო 10 წლის **თენგიზ თოიძე,** რომელმაც გასულ წელს წარმატებული თამაშით და კარგი შედეგებით გამოიჩინა თავი, როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ საჭადრაკო ღონისძიებებში. ამჯერად მას 4 ოსტატობის კანდიდატთან და 5 პირველთანრიგოსან მეტოქესთან უნდა გამოევლინა თავისი შესაძლებლობები.

ტურნირის მონაწილეებმა თამაში საპრიზო ადგილებზე გასვლის იმედით დაიწყო, თუმცა 4 ტურის შემდეგ 4 ქულით ერთპიროვნული ლიდერი პატარა თენგო გახდა, რომელმაც მოახერხა ორი მთავარი მეტოქის დამარცხება. მეხუთე ტურში ქულ;ა დაკარგა მის უფროს მეგობართან **თორნიკე მახარაძესთან,** მაგრამ შემდეგ ისევ ოთხი პარტია მოიგო ზედიზედ და ერთი დაკარგული ქულით (9 დან 8 ქულა) მივიდა ფინიშთან. ასეთივე შედეგით დაასრულა თამაში ოსტატობის კანდიდატმა, ტიტულოვანმა **გივი სიამაშვილმაც.**



დებულების შესაბამისად გამარჯვებულის გამოსავლენად მათ შორის დაინიშნა დამატებითი ბლიც-პარტიები, რომელიც ამჯერად სიამაშვილის გამარჯვებით დასრულდა. ტურნირის გამარჯვებულმა გივი სიამაშვილმა, ხუმრობით აღნიშნა „გასულ წელს ნახევარი ქულა წამართვა და გურიის ჩემპიონობა დამაკარგვინა, წელსაც ქულა წამართვა და პირველობაც საეჭვო გამიხადაო“. ასე რომ **თენგო თოიძემ** პირველი ადგილის ტოლფასი სპორტული შედეგი აჩვენა, რაც უდავოდ სასიამოვნო სიურპრიზია. მესამე ადგილზე 7 ქულით ოზურგეთელთათვის კარგად ცნობილი მოჭადრაკე და მწვრთნელი **ელგუჯა ურუშაძე** გავიდა, ხოლო მეოთხე საპრიზო ადგილი არანაკლებ ცნობილ, ახალგაზრდა მოჭადრაკეს **თორნიკე მახარაძეს** ხვდა წილად (6 ქულა).

წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

ჩვენთან საუბარში შეჯიბრების ორგანიზატორმა **ზურაბ ანდღულაძემ** ხაზი გაუსვა ადგილობრივი საჭადრაკო ღონისძიებების მნიშვნელობას და მის როლს პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭადრაკეების გამოვლენა-დაოსტატებაში. მისი თქმით, თენგო თოიძე, მიუხედავად პატარა ასაკისა, უკვე სერიოზულ ჭადრაკს თამაშობს. იგი ორი წელია მწვრთნელ **ნინო წიტაიშვილთან** მეცადინეობს და დღითიდღე იღრმავებს თეორიულ ცოდნას, რაც პრაქტიკულად ამ ტურნირშიც გამოავლინა. პატარა თენგოს ახლოს გასაცნობად ჩვენი გაზეთი გეგმავს სპეციალური მასალის მომზადებას, რაც ინტერესმოკლებული არ იქნება ჭადრაკის მოყვარულებისათვის.

კალანდობა – 2019, ცხემლისხიდი, გიორგი სალუქვაძის სახლმუზეუმი

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +2+10	მცირე წვიმა- +2+7	მზე, ღრუბელი +2+10	მზე, ღრუბელი +23+11	მზე, ღრუბელი +7+10	მზე, ღრუბელი +7+10	მზე, +4+10
21 იანვარი	22 იანვარი	23 იანვარი	24 იანვარი	25 იანვარი	26 იანვარი	27 იანვარი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა